ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2012 წლის 13 თებერვალი

ქ. ვანი

,,ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის № 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებით დამტკიცებული № 2 დანართის XI გრაფაში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

,,XI. გამგეობის ტერიტორიული ორგანოები

1	გამგეობის რწმუნებული	700
2	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – მთავარი სპეციალისტი	380
3	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – წამყვანი სპეციალისტი	360
4	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი	270

მუხლი 2. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია ოჩხიკიძემ.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. კაკაბაძე